აკადემიური საბჭო

დადგენილება № 6-12

გორი 25 02 2022წ.

სსიპ-გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს" ქვეპუნქტის, საქართველოს მთავრობის 2022 წლის 8 თებერვლის N63 დადგენილების, საქართველოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის N125/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წესდების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ქ" ქვეპუნქტის, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს 2022 წლის 22 თებერვლის N2 გადაწყვეტილებისა და ამავე ფაკულტეტის დეკანის (22.02.2022. N179685) სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. დამტკიცდეს სსიპ-გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება დანართის შესაბამისად.

2. კანცელარიის უფროსმა კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოს ამ დადგენილების გაცნობა დაინტერესებული პირებისა და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისათვის.

3. საინფორმაციო ტექნოლოგიების უზრუნველყოფის განყოფილებას დაევალოს ამ დადგენილების განთავსება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

4. ეს დადგენილება ძალაში შევიდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით და გავრცელდეს გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სახედ „უნივერსიტეტის" განსაზღვრის შემდგომ წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთოებებზე.

5. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: გორი, ჯორბენაძის ქ. N30).

რექტორი გიორგი სოსიაშვილი

დანართი #1

სსიპ-გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. მოქმედების სფერო და მიზანი

1. წინამდებარე დებულება აწესრიგებს სსიპ – გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - ,,უნივერსიტეტი“) ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე (შემდგომში - ,,ფაკულტეტი“) დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის აუცილებელ პროცედურას საქართველოს კანონმდებლობისა და უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციების შესაბამისად.
2. დოქტორანტურის მიზანია დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების საფუძველზე მაღალი კვალიფიკაციის სამეცნიერო ცოდნითა და პედაგოგიური უნარებით აღჭურვილი კადრების მომზადება, აკადემიური და კვლევითი რესურსების დაახლოება, ქვეყანაში სამეცნიერო და ინოვაციური მუშაობის გააქტიურება და ხარისხის ამაღლება, საერთაშორისო აკადემიურ და სამეცნიერო სივრცეში ჩართვა, ახალი ცოდნის შექმნა, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების ხელშეწყობა, განხორციელებული კვლევითი პროექტების შესაბამისობის უზრუნველყოფა უნივერსიტეტის მისიასა და სტრატეგიული განვითარების გეგმასთან.

თავი II. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო

მუხლი 2. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო

1. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო არის დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი ორგანო. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო შედგება შესაბამისი დარგის/მიმართულების დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე ფაკულტეტის ყველა პროფესორის და ასოცირებული პროფესორისაგან. სადისერტაციო საბჭოს შექმნის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.
2. აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით, სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობაში წევრებად შეიძლება შევიდნენ შესაბამისი დარგის წარმომადგენლები/სპეციალობის მქონე პირები საქართველოდან და უცხოეთიდან, სადისერტაციო საბჭოს მიერ დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე.

მუხლი 3. სადისერტაციო საბჭოს უფლებამოსილება

1. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო:
ა) ირჩევს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს და მდივანს;
გ) დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინებით ამტკიცებს დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელსა და სადისერტაციო ნაშრომის სათაურს, დოქტორანტის შესაბამის სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში;

დ) იღებს გადაწყვეტილებას დოქტორანტის სადისერტაციო თემის შეცვლის ან სადისერტაციო თემის სათაურში ცვლილებების შეტანის შესახებ;
ე) იღებს გადაწყვეტილებას დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის შეცვლის შესახებ;
ვ) სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის წარდგინების საფუძველზე განიხილავს და ამტკიცებს სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტთა კანდიდატურებს;
ზ) სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის წარდგინების საფუძველზე განიხილავს და ამტკიცებს სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიას;
თ) ამტკიცებს სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის მიერ წარმოდგენილ დისერტაციის დაცვის თარიღს;
ი) იღებს გადაწყვეტილებას სადისერტაციო ნაშრომზე აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის არსებობის შემთხვევაში მინიჭებული აკადემიური ხარისხის საფუძვლიანობის შემოწმების თაობაზე (სადისერტაციო ნაშრომში გაყალბებული მონაცემების გამოყენება, სადისერტაციო საქმისწარმოებისას არასწორი მონაცემების წარდგენა და სხვ.);
კ) ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით ამტკიცებს „სამეცნიერო-კვლევითი პროექტის, სადისერტაციო ნაშრომისა და სადისერტაციო ნაშრომის მაცნეს ტექნიკური მონაცემების შესახებ“ ინსტრუქციას;
ლ) სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დადებითი გადაწყვეტილების (შეფასების) საფუძველზე სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს ანიჭებს დოქტორის აკადემიურ ხარისხს;
ნ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით, ამ დებულებით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით და უნივერსიტეტის მართვის ორგანოების გადაწყვეტილებებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 4. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე

1. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს ხელმძღვანელობს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე.
2. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო თავისი შემადგენლობიდან ღია კენჭისყრით 3 წლის ვადით სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს. ერთი და იგივე პირი თავმჯდომარედ შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ. თავმჯდომარის არჩევამდე საბჭოს პირველ სხდომას უძღვება სადისერტაციო საბჭოს უხუცესი წევრი.
3. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე:
ა) იწვევს და უძღვება საბჭოს სხდომებს;
ბ) სადისერტაციო საბჭოს სხდომებს შორის ხელმძღვანელობს საბჭოს მუშაობას;
გ) სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე უნივერსიტეტის რექტორის სახელზე ამზადებს წარდგინებას დოქტორანტისათვის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე;
დ) უზრუნველყოფს დოქტორანტებისათვის სავალდებულო თემატური სემინარების ორგანიზებას;
ე) განსაზღვრავს ფაკულტეტის მიმღები დარგობრივი კომისიის შემადგენლობას და დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს;
ვ) ახორციელებს ამ დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 5. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მდივანი

1. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს ორგანიზაციულ საქმიანობას უზრუნველყოფს სადისერტაციო საბჭოს მდივანი, რომელსაც საბჭოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით საბჭოს შემადგენლობიდან 3 წლის ვადით ირჩევს სადისერტაციო საბჭო.
2. სადისერტაციო საბჭოს მდივანი:
ა) აწარმოებს სადისერტაციო საბჭოს სხდომის ოქმებს;
ბ) ეხმარება საბჭოს თავმჯდომარესა და სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ს ორგანიზაციული საკითხების მოგვარებაში;
გ) უზრუნველყოფს სადისერტაციო საბჭოს წევრთა ორგანიზაციულ, იურიდიულ, დოკუმენტურ და საინფორმაციო მომსახურებას;
დ) უზრუნველყოფს ინფორმაციის დროულ განთავსებას საინფორმაციო ვებგვერდზე;
ე) აღრიცხავს დოქტორანტის სადისერტაციო დოკუმენტაციას;
ვ) კონსულტაციას უწევს და ეხმარება დოქტორანტს დისერტაციის დაცვამდე და დაცვის შემდეგ სათანადო დოკუმენტაციის მომზადებაში;
ზ) ხელმძღვანელობს საბჭოს საქმის წარმოებას.
3. სადისერტაციო საბჭოს მდივანი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და წინამდებარე დებულებით.
4. სადისერტაციო საბჭოს მდივანი ვალდებულია, სადისერტაციო საბჭოსა და სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის ნებისმიერი გადაწყვეტილება აცნობოს დოქტორანტს წერილობითი ან ელექტრონული ფორმით.

მუხლი 6. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მუშაობის წესი

1. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო თავის საქმიანობას წარმართავს მოქმედი კანონმდებლობის, უნივერსიტეტის წესდებისა და წინამდებარე დებულების შესაბამისად.
2. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო გადაწყვეტილებას იღებს საბჭოს სხდომაზე. სხდომა უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მას ესწრება წევრთა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა დამსწრეთა ხმების ნახევარზე მეტი. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტი როლი ენიჭება საბჭოს თავმჯდომარის ხმას.
3. სადისერტაციო საბჭოს სხდომებს ხელმძღვანელობს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის სხდომაზე არყოფნის შემთხვევაში საბჭოს უძღვება საბჭოს ერთ-ერთი წევრი, საბჭოს გადაწყვეტილებით. მდივნის დაუსწრებლობის შემთხვევაში თავმჯდომარე უფლებამოსილია მდივნის მოვალეობა დააკისროს საბჭოს ერთ-ერთ წევრს.
4. სადისერტაციო საბჭოს სხდომები ტარდება საჭიროებისამებრ, სემესტრში, სულ მცირე, ორჯერ მაინც. სადისერტაციო საბჭოს სხდომას იწვევს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე. საჭიროების შემთხვევაში სადისერტაციო საბჭოს სხდომის მოწვევა შესაძლებელია სადისერტაციო საბჭოს წევრების, სულ მცირე, 1/3-ის ან ფაკულტეტის დეკანის მოთხოვნით.
5. სადისერტაციო საბჭოს სხდომის მიმდინარეობა აისახება ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი.

6. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს სხდომებს შორის საბჭოს მუშაობას ხელმძღვანელობს საბჭოს თავმჯდომარე, ხოლო საბჭოს საქმის წარმოებას - მდივანი.

თავი III. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა

მუხლი 7. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა

1. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა (აკადემიური უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა) არის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების ერთობლიობა, რომლის სწავლის შედეგებიც შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისი დონით განსაზღვრულ განზოგადებულ სწავლის შედეგებს.
2. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა განსაზღვრავს მეცნიერების ამა თუ იმ დარგში დოქტორის აკადემიური ხარისხის მოპოვების პირობებს.
3. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი.

მუხლი 8. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტები

1. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა შედგება სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტებისაგან.
2. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტები მიზნად ისახავს დოქტორანტის დარგობრივ და მეთოდოლოგიურ დახელოვნებას, ხელს უწყობს დოქტორანტს სადისერტაციო ნაშრომის შესრულებაში, ამზადებს მას მომავალი სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობისათვის.
3. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი შეადგენს არაუმეტეს 60 კრედიტს. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი გულისხმობს სადოქტორო სემინარს/სემინარებს, პროფესორის ასისტენტობას, კვლევის მეთოდოლოგიას და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სხვა სავალდებულო და არჩევით სასწავლო აქტივობებს (სასწავლო კურსი, მოდული, პრაქტიკა და ა.შ.).
4. სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი არის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი ნაწილი, რომლის მიზანია დოქტორანტის სამეცნიერო-კვლევითი უნარების ჩამოყალიბება. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი წარმოდგენილია ორი სამეცნიერო-კვლევითი პროექტისა და სადისერტაციო ნაშრომის სახით.
5. დოქტორანტის სამეცნიერო-კვლევითი პროექტი არის პროგრამის კვლევითი კომპონენტი, რომელიც ემსახურება დოქტორანტის მიერ დამოუკიდებელი კვლევით მიღებული სამეცნიერო სიახლის წარმოჩენას. იგი წარმოადგენს დამოუკიდებელ სამეცნიერო ნაშრომს დოქტორანტის უშუალო საკვლევი თემატიკის ფარგლებში, რომელშიც მოცემულია საკითხის ახლებური გადაწყვეტა და ორიგინალური სამეცნიერო დასკვნები. დოქტორანტის სამეცნიერო-კვლევითი პროექტი მისი დისერტაციის ნაწილია.
6. დოქტორანტი სადისერტაციო ნაშრომთან დაკავშირებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტის ბეჭდურ და ელექტრონულ ვერსიებს სამეცნიერო ხელმძღვანელის რეკომენდაციის საფუძველზე წარუდგენს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს.

7. სამეცნიერო-კვლევითი პროექტის არქიტექტონიკა (მოცულობა, ფორმატი, სტილი და სხვა ტექნიკური მონაცემები) განისაზღვრება შესაბამისი ინსტრუქციით, რომელსაც ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით ამტკიცებს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო.
8. სამეცნიერო-კვლევითი პროექტის საჯარო განხილვა/პრეზენტაცია ტარდება დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის, დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელისა და ფაკულტეტის შესაბამისი სფეროს აკადემიური/მოწვეული პერსონალის ჩართულობით.
9. სამეცნიერო-კვლევითი პროექტისადმი წაყენებული შენიშვნებისა თუ რეკომენდაციების გათვალისწინება დოქტორანტისთვის სავალდებულოა დისერტაციის წარდგენამდე.
10. შესრულებული სასწავლო და კვლევითი კომპონენტები წარმოადგენს სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვაზე (პრეზენტაცია, სამეცნიერო დისკუსია) წარდგენის წინაპირობას.

მუხლი 9. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი

1. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს შესაბამისი დარგის/მიმართულების დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე ფაკულტეტის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი.
2. პროგრამას, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, შეიძლება ჰყავდეს ერთი ან რამდენიმე ხელმძღვანელი.
3. შესაბამისი პროფილის აკადემიური პერსონალის შუამდგომლობისა და ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, სადოქტორო პროგრამის თანახელმძღვანელი შეიძლება იყოს შესაბამისი აკადემიური ხარისხისა და დარგობრივი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტი, მათ შორის მოწვეული პირი.
4. პროგრამის ხელმძღვანელი ორგანიზებას უწევს საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების და განვითარების პროცესებს, უზრუნველყოფს მათ საჯაროობასა და გამჭვირვალობას, აგრეთვე ამ პროცესებში შესაბამისი მიმართულების აკადემიური პერსონალის, მოწვეული სპეციალისტების, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დარგობრივი ინსტიტუტების წარმომადგენლების, დამსაქმებლებისა და სხვა დაინტერესებული პირების მონაწილეობას.
5. პროგრამის ხელმძღვანელი ადგენს მოცემულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული სპეციალისტების (მათი არსებობის შემთხვევაში) აკადემიურ ან/და საათობრივ დატვირთვებს და დასამტკიცებლად წარუდგენს ფაკულტეტის დეკანს.
6. პროგრამის ხელმძღვანელი შედის ფაკულტეტის დეკანთან წინადადებით მოცემული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო ან/და სამეცნიერო-კვლევით პროცესში მონაწილეობის ან/და ამ პროცესის წარმართვის მიზნით შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტების მოწვევის შესახებ.
7. პროგრამის ხელმძღვანელი აკონტროლებს სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის მიზნებისა და შედეგების პროგრამით განსაზღვრულ მიზნებთან და შედეგებთან, აგრეთვე პროგრამის კურიკულუმის რუკასთან და სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობების პროგრამის წინაპირობების მატრიცასთან შესაბამისობას, მონაწილეობს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებაში და პასუხისმგებელია ხარისხის სტანდარტებთან პროგრამის შესაბამისობაზე.

8. პროგრამის ხელმძღვანელი წარმოადგენს პასუხისმგებელ და საკონტაქტო პირს მოცემულ საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებული ნებისმიერი საორგანიზაციო, ტექნიკური თუ კონცეპტუალური ხასიათის პრობლემის წამოჭრისას.
9. პროგრამის ხელმძღვანელი ჩართულია პროგრამის განხორციელებაში, სტუდენტების კონსულტირებაში, პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებში.

მუხლი 10. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი

1. ფაკულტეტი უზრუნველყოფს დოქტორანტს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე სამეცნიერო ხელმძღვანელით.
2. დოქტორანტს შეიძლება ჰყავდეს ერთზე მეტი სამეცნიერო ხელმძღვანელი. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სადისერტაციო საბჭო.
3. სამეცნიერო ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს დოქტორის აკადემიური ხარისხი, დოქტორანტის სადისერტაციო თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო დარგში/სპეციალობაში/მიმართულებაში კვლევის გამოცდილება და შესაბამისი პუბლიკაციები ბოლო 10 წლის განმავლობაში. თუ დოქტორანტს ჰყავს მხოლოდ ერთი სამეცნიერო ხელმძღვანელი, ის უნდა იყოს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი.
4. სამეცნიერო ხელმძღვანელმა შეიძლება უხელმძღვანელოს აქტიური სტატუსის მქონე არაუმეტეს 3 დოქტორანტს.
5. სამეცნიერო ხელმძღვანელი დოქტორანტურის შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან/კოორდინატორთან ერთად კონსულტაციას უწევს დოქტორანტს სასწავლო და კვლევითი პროცესის დაგეგმვისას.
6. სამეცნიერო ხელმძღვანელი კონტროლს უწევს დოქტორანტის სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შესრულებას.

მუხლი 11. სამეცნიერო ხელმძღვანელისა და სადისერტაციო თემის შეცვლა

1. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელსა და სადისერტაციო თემის სათაურს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინებით ამტკიცებს სადისერტაციო საბჭო დოქტორანტის ჩარიცხვიდან პირველი სემესტრის განმავლობაში. სადისერტაციო თემის სათაურში ცვლილების შეტანის საკითხს განიხილავს სადისერტაციო საბჭო.
2. დოქტორანტის დასაბუთებული მოთხოვნითა და სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით შეიძლება შეიცვალოს დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი.
3. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის დასაბუთებული მოთხოვნით შეიძლება გაუქმდეს მისი ვალდებულებებიც. თუ სამეცნიერო ხელმძღვანელი უარს ამბობს დოქტორანტის ხელმძღვანელობაზე, ამის შესახებ მან სწავლის ნებისმიერ ეტაპზე დასაბუთებული განცხადება უნდა წარუდგინოს სადისერტაციო საბჭოს.
4. სამეცნიერო ხელმძღვანელის შეცვლის შემთხვევაში შეიძლება შეიცვალოს სადისერტაციო თემის სათაური.
5. დოქტორანტის და სამეცნიერო ხელმძღვანელის ერთობლივი დასაბუთებული მოთხოვნით, დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში,

ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით შეიძლება შეიცვალოს სადისერტაციო თემის სათაური.
6. სადისერტაციო თემის სათაური შეიძლება დაზუსტდეს დოქტორანტის და სამეცნიერო ხელმძღვანელის ერთობლივი დასაბუთებული მოთხოვნით ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით.

თავი IV. დოქტორანტურაში სწავლა

მუხლი 12. დოქტორანტურაში სწავლის უფლება

1. დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს მაგისტრს ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების წინაპირობების დაცვით.
2. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე პირი შეიძლება ჩაირიცხოს მობილობის წესით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ამასთან, მობილობის წესით დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი დოქტორანტი უნდა აკმაყოფილებდეს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების ყველა წინაპირობას.
4. დოქტორანტურაში სწავლის უფლება შეიძლება მიენიჭოს უცხოეთის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
4. დოქტორანტურაში მიღება ცხადდება შემოდგომის და/ან გაზაფხულის სემესტრებში.

მუხლი 13. დოქტორანტურაში ჩარიცხვის პირობები და წესი

1. დოქტორანტობის კანდიდატმა ფაკულტეტის მიმღებ კომისიას უნდა წარუდგინოს განცხადება უნივერსიტეტის რექტორის სახელზე (დანართი №1) დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის მითითებით. განცხადებას თან უნდა დაერთოს:
ა) კონკურსანტის ავტობიოგრაფია (მონაცემები განათლებისა და შრომითი საქმიანობის შესახებ), CV;
ბ) მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომისა და დანართის ნოტარიულად დამოწმებული ასლი. ერთსაფეხურიანი, ხუთწლიანი უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში - სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული მაგისტრის აკადემიურ ხარისხთან გათანაბრების დამადასტურებელი დოკუმენტი;
გ) უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი (არსებობის შემთხვევაში);
დ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის/პასპორტის ასლი (უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში ქართულად თარგმნილი და ნოტარიულად დამოწმებული პასპორტის ასლი);
ე) ფოტოსურათი 3X4 (ბეჭდური 2 ც. და ელექტრონული ვერსია CD);
ვ) სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი/სამხედრო ბილეთი (სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებული საქართველოს მოქალაქეებისთვის);

ზ) საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ დონეზე ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატის ნოტარიულად დამოწმებული ასლი ან დედანი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
თ) სამოტივაციო წერილი და ახსნა-განმარტება იმის თაობაზე, რომ განმცხადებელი არ ირიცხება სხვა საგანმანათლებლო დაწესებულების დოქტორანტურაში;
ი) კვლევის კონცეფცია, რომელიც უნდა მოიცავდეს ნაშრომის სავარაუდო სათაურსა და სტრუქტურას, კვლევის საგანსა და საკითხის მნიშვნელობის დასაბუთებას;
კ) დოქტორანტობის კანდიდატის მიერ ფაკულტეტის შესაბამისი დარგის/მიმართულების აკადემიური ან მოწვეული პერსონალის შემადგენლობიდან შერჩეული სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელის შუამდგომლობა და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის თანხმობა.
2. განათლებისა და შრომითი საქმიანობის შესახებ მონაცემებში სამეცნიერო პუბლიკაციების და კონფერენციებში მონაწილეობის მითითების შემთხვევაში, დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველმა უნდა წარმოადგინოს აღნიშნული მასალების ასლები, ასევე სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული სხვა დამატებითი მოთხოვნების დამადასტურებელი დოკუმენტები.
3. დოქტორანტობის კანდიდატს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლებისათვის მოეთხოვება ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა, რაც უნდა დადასტურდეს საუნივერსიტეტო გამოცდით ან შესაბამისი სერთიფიკატით (იხ. დანართი №2).
4. ინგლისური ენის გამოცდისაგან ან შესაბამისი სერტიფიკატის წარმოდგენისაგან თავისუფლდება დოქტორანტობის კანდიდატი, რომელსაც აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამები (მაგისტრატურა, დოქტორანტურა და სხვა.) გავლილი აქვს ინგლისურ ენაზე.
5. დოქტორანტობის კანდიდატი, რომელსაც დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე სურს სწავლა და მისი მშობლიური ენა არ არის ქართული, წარმოადგენს ქართული ენის B2 დონის დამადასტურებელ სერტიფიკატს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან წარმოადგენს ქართულენოვან აკადემიურ საგანმანათლებლო (მაგისტრატურა, დოქტორანტურა და სხვა) პროგრამაზე სწავლის დამადასტურებელ დოკუმენტს ან ჩააბარებს გამოცდას ქართულ ენაში, უნივერსიტეტს მიერ დადგენილი რეგულაციების შესაბამისად.
6. ქართული ენის ენობრივი კომპეტენციის დონეები განისაზღვრება „ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 30 ივნისის №394 დადგენილების №4 დანართის შესაბამისად.
7. დოქტორანტობის კანდიდატი დოქტორანტურაში სწავლის უფლების მოსაპოვებლად აბარებს მისაღებ გამოცდას (ზეპირი ან/და წერითი ფორმით) სპეციალობაში, სწავლის ძირითად სფეროში შესაბამის პროგრამაზე მიღების წინაპირობის გათვალისწინებით.
8. დოქტორანტობის კანდიდატის სპეციალობაში გამოცდის/გამოცდების (ზეპირი ან/და წერითი ფორმით) შეფასების კრიტერიუმები უნდა იყოს წინასწარ დამტკიცებული, საჯარო და ხელმისაწვდომი.
9. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებით, ასევე დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამით შეიძლება დადგენილ იქნეს პროგრამაზე მიღების დამატებითი მოთხოვნები.

10. ქართული ან/და ინგლისური ენის გამოცდის ორგანიზებას და ჩატარებას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ადმინისტრაცია.

მუხლი 14. საკონკურსო გამოცდა

1. დოქტორანტობის კანდიდატი, რომელიც აკმაყოფილებს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობებს, დოქტორანტურაში სწავლის უფლების მოსაპოვებლად, აბარებს გამოცდას უნივერსიტეტის რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე შექმნილი ფაკულტეტის მიმღები დარგობრივი კომისიის წინაშე.
2. კომისიის წევრებს დოქტორანტობის კანდიდატის საანკეტო მონაცემებს მოახსენებს და სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელის შუამდგომლობას წარუდგენს სადისერტაციო საბჭოს მდივანი ან დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი.
3. კომისია დადგენილი კრიტერიუმებით აფასებს დოქტორანტობის კანდიდატის საგამოცდო პასუხს/ნაშრომს. ამასთან, დოქტორანტობის კანდიდატის საგამოცდო პასუხის/ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები უნდა იყოს წინასწარ დამტკიცებული, საჯარო და ხელმისაწვდომი.
4. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამით შეიძლება დადგენილ იქნეს პროგრამაზე მიღების დამატებითი მოთხოვნებიც.

მუხლი 15. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის პირობები

1. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და საგამოცდო შეფასების საფუძველზე, ფაკულტეტის მიმღები დარგობრივი კომისია იღებს გადაწყვეტილებას კანდიდატის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის ან ჩარიცხვაზე უარის თქმის შესახებ.
2. ფაკულტეტის მიმღები დარგობრივი კომისიის დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით, პირი შესაბამის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩაირიცხება უნივერსიტეტის რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
3. უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით შესაბამის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ დოქტორანტთან უნივერსიტეტი დებს ხელშეკრულებას საგანმანათლებლო მომსახურების გაწევის შესახებ, რომლითაც განისაზღვრება მხარეთა უფლებები და მოვალეობები.

მუხლი 16. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის პირობები

1. დოქტორანტმა დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვიდან ექვსი აქტიური სემესტრის განმავლობაში უნდა დააგროვოს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო კრედიტების რაოდენობა და შეასრულოს კვლევითი კომპონენტით გათვალისწინებული მოთხოვნები.
2. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვიდან ექვსი აქტიური სემესტრის გასვლის შემდეგ დოქტორანტის მომდევნო სემესტრში რეგისტრაციის წინაპირობაა სამეცნიერო ხელმძღვანელისა და პროგრამის ხელმძღვანელის შუამდგომლობა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს წინაშე, რომელშიც უნდა დასაბუთდეს სწავლის/კვლევის გაგრძელების მიზანშეწონილობა.

3. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელისა და პროგრამის ხელმძღვანელის შუამდგომლობაზე ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, დოქტორანტი ვალდებულია დაასრულოს დოქტორანტურაში სწავლის/კვლევის პროცესი, ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ განსაზღვრული სემესტრების განმავლობაში, მაგრამ არა უმეტეს 4 სასწავლო სემესტრისა.
4. დამატებითი სემესტრის/სემესტრების განმავლობაში დოქტორანტს უნარჩუნდება სტუდენტის სტატუსი.
5. დოქტორანტი, რომელიც შეასრულებს პროგრამით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, სადისერტაციო ნაშრომის დაცვისთვის საჭირო დოკუმენტაციას წარუდგენს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს და სადისერტაციო ნაშრომს დაიცავს წინამდებარე დებულებით დადგენილი წესით.

თავი V. სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და დაცვა

მუხლი 17. სადისერტაციო ნაშრომი (დისერტაცია)

1. დისერტაცია წარმოადგენს სამეცნიერო ნაშრომს, რომელსაც დოქტორანტი იცავს დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.
2. დისერტაცია უნდა წარმოადგენდეს დოქტორანტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგს. იგი უნდა ასახავდეს თეორიული და/ან ექსპერიმენტული კვლევის დასაბუთებულ შედეგებს და ქმნიდეს ახალ ცოდნას, ახასიათებდეს მეცნიერული სიახლე და წვლილი შეჰქონდეს სამეცნიერო დარგის განვითარებაში.
3. დისერტაცია უნდა შესრულდეს ქართულ ენაზე, ხოლო სადისერტაციო ნაშრომის შემოკლებული ვერსია (მაცნე) - ქართულ და ინგლისურ ენებზე.
4. სადისერტაციო ნაშრომის არქიტექტონიკა (მოცულობა, ფორმატი, სტილი და სხვა ტექნიკური მონაცემები) განისაზღვრება შესაბამისი ინსტრუქციით, რომელსაც ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით ამტკიცებს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო.
5. სადისერტაციო ნაშრომი (დისერტაცია) ფასდება იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც დოქტორანტი დაასრულებს მასზე მუშაობას. ამასთან, დისერტაცია ფასდება მთლიანობაში, ერთიანად – დასკვნითი შეფასებით, რომელიც მოიცავს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული პირების შეფასებებსა და დაცვაზე მიღებულ შეფასებას.
6. სადისერტაციო ნაშრომის შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამით.

მუხლი 18. სადისერტაციო ნაშრომის შემოკლებული ვერსია (მაცნე)

1. სადისერტაციო ნაშრომის შემოკლებული ვერსია უნდა ასახავდეს დისერტაციის ყველა კომპონენტს. სადისერტაციო ნაშრომის შემოკლებული ვერსია შედგენილი უნდა იყოს ისე, რომ დაინტერესებულმა პირმა შეძლოს სადისერტაციო ნაშრომის ძირითად შედეგების გაცნობა.
2. სადისერტაციო ნაშრომის შემოკლებული ვერსია (მაცნე) უნდა შეიცავდეს სატიტულო ფურცელს. მასში ასახული უნდა იყოს: თემის აქტუალურობა, კვლევის მიზანი, კვლევის ობიექტი და მეთოდები, ნაშრომის ძირითადი შედეგები და მეცნიერული სიახლე, აგრეთვე ინფორმაცია დისერტაციის მოცულობისა და სტრუქტურის შესახებ. სადისერტაციო ნაშრომის შემოკლებულ ვერსიაში გადმოცემული უნდა იყოს კვლევის ძირითადი შედეგები თავების მიხედვით და ზოგადი დასკვნები.

3. სადისერტაციო ნაშრომის შემოკლებული ვერსიაში (მაცნეში) აუცილებლად უნდა იყოს წარმოდგენილი ავტორის მიერ გამოქვეყნებული მხოლოდ იმ ნაშრომების ნუსხა, რომელთა შინაარსი შეესაბამება სადისერტაციო ნაშრომის თემატიკას და შედის სადისერტაციო ნაშრომში.
4. სადისერტაციო ნაშრომის შემოკლებული ვერსია (მაცნე) აგრეთვე უნდა შეიცავდეს ინფორმაციას ნაშრომის აპრობაციის შესახებ (როგორიცაა მოხსენებები კოლოკვიუმებზე, კონფერენციებზე, ფორუმებზე, სიმპოზიუმებზე, სემინარებზე).
5. სადისერტაციო ნაშრომის შემოკლებული ვერსიის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს ორ ნაბეჭდ თაბახს (32 გვერდს). სადისერტაციო ნაშრომის შემოკლებული ვერსიის (მაცნეს) ფორმატი და ტექნიკური მონაცემები განისაზღვრება შესაბამისი ინსტრუქციით, რომელსაც ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით ამტკიცებს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო.

მუხლი 19. აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის გამოვლენის მექანიზმი

1. აკადემიური კეთილსინდისიერების, აკადემიური ეთიკის სტანდარტების, აკადემიური პატიოსნებისა და სამეცნიერო კვლევის ეთიკური შედეგების, სადისერტაციო ნაშრომის შექმნის ძირითადი წესებისა და პრინციპების, ასევე სადისერტაციო ნაშრომის არქიტექტონიკის (მოცულობის, ფორმატის, სტილის და სხვა ტექნიკური მონაცემების) დაცვის გადამოწმების მიზნით დოქტორანტი, ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოში სადისერტაციო ნაშრომის წარდგენამდე, სამეცნიერო ხელმძღვანელის თანხმობით, სადისერტაციო ნაშრომის ელექტრონულ ვერსიას წარუდგენს უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევების ცენტრს (შემდგომ - „ცენტრი“).
2. ცენტრში წარდგენილ სადისერტაციო ნაშრომის ელექტრონულ ვერსიას თან უნდა ახლდეს დოქტორანტის განცხადება იმის თაობაზე, რომ ნაშრომი არ შეიცავს აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის ელემენტებს, ორიგინალურია, სხვა ავტორთა მოსაზრებები მითითებულია დადგენილი წესით და კვლევის მეთოდების გამოყენებისას დაცულია ეთიკის ნორმები.
3. ცენტრი ვალდებულია, სადისერტაციო ნაშრომის წარდგენიდან 15 კალენდარული დღის ვადაში, ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს წარუდგინოს წერილობითი დასკვნა, რომელშიც უნდა აისახოს:
ა. დოქტორანტის მიერ აკადემიური კეთილსინდისიერების, აკადემიური ეთიკის სტანდარტების, აკადემიური პატიოსნების დაცვის, მათ შორის, სადისერტაციო ნაშრომის მსგავსების აღმომჩენი ელექტრონული პროგრამით გადამოწმების შედეგები;
ბ. დოქტორანტის მიერ სადისერტაციო ნაშრომის შექმნის ძირითადი წესებისა და პრინციპების, ასევე სადისერტაციო ნაშრომის არქიტექტონიკის (მოცულობის, ფორმატის, სტილის და სხვა ტექნიკური მონაცემების) დაცვის გადამოწმების შედეგები.
4. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო ცენტრის წერილობით დასკვნას, მისი მიღებიდან 3 კალენდარული დღის ვადაში, გადასცემს დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელს, რომელიც აფასებს სადისერტაციო ნაშრომს და დასკვნის მიღებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში გასცემს წერილობით დასკვნას სადისერტაციო ნაშრომის საჯარო განხილვაზე დაშვების ან დაუშვებლობის შესახებ.
5. სადისერტაციო ნაშრომში აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი დასაბუთებულ წერილობით დასკვნას წარუდგენს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს და დოქტორანტს.

6. საჭიროების შემთხვევაში, ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო, დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის წერილობითი დასკვნის საფუძველზე, განსაზღვრავს აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის დამდგენი კომისიის შემადგენლობას და დოქტორანტის აკადემიური კეთილსინდისიერების საკითხის განხილვის თარიღს.
7. აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის დამდგენი კომისია უნდა შედგებოდეს არანაკლებ 5 და არაუმეტეს 7 წევრისგან.
8. დოქტორანტს წერილობითი ფორმით ეგზავნება ინფორმაცია აკადემიური კეთილსინდისიერების საკითხის განხილვის თარიღის შესახებ. დოქტორანტი ესწრება საკითხის განხილვას, სადაც სარგებლობს სიტყვის უფლებით. დოქტორანტს უფლება აქვს მიაწოდოს კომისიას თავის ხელთ არსებული ინფორმაცია და მტკიცებულებები საკუთარი პოზიციის დასაცავად.
9. კომისია იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას, რომელიც წერილობითი სახით ეცნობება ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს და დოქტორანტს.
10. წარდგენილ სადისერტაციო ნაშრომში აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის დადასტურების შემთხვევაში ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით, იღებს გადაწყვეტილებას დოქტორანტის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის გამოყენების ან არგამოყენების შესახებ.

მუხლი 20. სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის პროცედურა

1. დოქტორანტი ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს წარუდგენს სადისერტაციო ნაშრომის 5 აკინძულ ბეჭდურ ეგზემპლარს და მის ელექტრონულ ვერსიას (PDF ფორმატში).
2. სადისერტაციო ნაშრომთან ერთად დოქტორანტმა უნდა წარმოადგინოს:
ა) განაცხადი, რომ სადისერტაციო ნაშრომი დოქტორანტის დამოუკიდებელი კვლევის შედეგია და არ შეიცავს პლაგიატს/გაყალბებულ მონაცემებს (დანართი №3);
ბ) დოქტორანტის მიერ შესრულებული სამუშაოს შემაჯამებელი ანგარიში (დანართი №4);
გ) დისერტაციის კვლევის შედეგები - დისერტაციის ძირითადი დებულებების ამსახველი მოკლე ვერსია - ქართულ და ინგლისურ ენაზე;
დ) სამეცნიერო ხელმძღვანელის დასკვნა სადისერტაციო ნაშრომის საჯარო განხილვაზე დაშვების თაობაზე (დანართი №5);
ე) ფაკულტეტის მიერ გაცემული ცნობა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებით განსაზღვრული სამეცნიერო პუბლიკაციების გამოქვეყნებისათვის წაყენებული მოთხოვნების შესრულების თაობაზე;
ვ) ფაკულტეტის მიერ გაცემული ცნობა სასწავლო კომპონენტის შესრულების, დაგროვილი კრედიტებისა და სემესტრების სრულად გავლის თაობაზე;
ზ) გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ამონაბეჭდი და/ან რედაქტორის (რედკოლეგიის) მიერ გაცემული ცნობა გამოსაქვეყნებლად მიღებული სამეცნიერო ნაშრომის შესახებ და ნაშრომის ბეჭდური ვერსია.
3. წარმოდგენილ დოკუმენტებს ამოწმებს სადისერტაციო საბჭოს მდივანი.
4. სადისერტაციო მასალების წარდგენის შემდგომ ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე 10 კალენდარული დღის ვადაში მსვლელობას აძლევს საქმის წარმოებას.
5. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებით შეიძლება განისაზღვროს დისერტაციის წარდგენასთან დაკავშირებული დამატებითი მოთხოვნები.

მუხლი 21. პუბლიკაციის გამოქვეყნების ვალდებულება

1. დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის დაცვაზე დაშვების წიანაპირობას წარმოადგენს სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შედეგების ამსახველი, მინიმუმ, სამი პუბლიკაციის გამოქვეყნება.
2. დოქტორანტმა სამეცნიერო პუბლიკაციებიდან ერთი უნდა გამოაქვეყნოს რეფერირებად (Peer-reviewed) საერთაშორისო ჟურნალში (ან საკონფერენციო მასალებში), რომელიც ინდექსირებულია Scopus-ის, Web of Science-ის ან ERIH PLUS-ის ბაზებში.
3. დოქტორანტის ორი პუბლიკაცია შეიძლება იყოს სტატია საერთაშორისო ან ადგილობრივ სამეცნიერო ჟურნალში, რომელსაც აქვს ISSN კოდი, კრებულში (ან საკონფერენციო მასალებში), რომელსაც აქვს ISSN ან ISBN კოდი ან მონოგრაფია, რომელსაც ჰყავს რედაქტორი და რეცენზენტი (რეცენზენტები) და აქვს ISBN კოდი.
4. პუბლიკაციებიდან ერთ-ერთი შეიძლება არ იყოს დასტამბული, მაგრამ მიღებული იყოს გამოსაქვეყნებლად.

მუხლი 22. სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები

1. დისერტაციის წარდგენის შემდეგ ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო, სადისერტაციო ნაშრომის რეცენზირების მიზნით, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის შუამდგომლობისა და სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის წარდგინების საფუძველზე, ამტკიცებს ორ რეცენზენტს.
2. რეცენზენტს უნდა ჰქონდეს დოქტორის აკადემიური ხარისხი, დოქტორანტის სადისერტაციო თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო სფეროში კვლევის გამოცდილება და შესაბამისი პუბლიკაციები.
3. რეცენზენტი არ შეიძლება იყოს:
ა) სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე ან მდივანი;
ბ) დისერტანტის მიერ შესრულებული რომელიმე ნაშრომის თანაავტორი;
გ) დისერტანტზე თანამდებობრივად დამოკიდებული პირი.
4. დაუშვებელია, რომ ორივე რეცენზენტი იყოს რომელიმე ორგანიზაციის ერთი და იმავე სტრუქტურული ერთეულის (მაგ. ფაკულტეტის, სკოლის) თანამშრომელი.
5. სადისერტაციო საბჭოს მდივანი რეცენზენტების დამტკიცებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოფს სადისერტაციო ნაშრომის ეგზემპლარების გადაცემას რეცენზენტებისათვის.
6. სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტი ვალდებულია, დისერტაციის გადაცემიდან არაუგვიანეს 60 კალენდარული დღის ვადაში გაეცნოს სადისერტაციო ნაშრომს და წარუდგინოს რეცენზია ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს.
7. იმ შემთხვევაში, თუ რეცენზენტის მიერ რეცენზიის წარმოდგენა ობიექტური გარემოებების გამო (უბედური შემთხვევა, ავადმყოფობა და სხვ.) შეუძლებელია ინიშნება ახალი რეცენზენტი.
8. სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტი დასკვნას (რეცენზიას) წარადგენს დადგენილი რეცენზიის ფორმის შესაბამისად (იხ. დანართი№6).
9. რეცენზენტმა სადისერტაციო ნაშრომი უნდა შეაფასოს შედეგი კრიტერიუმებით:
ა) სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა;
ბ) სადისერტაციო ნაშრომის აქტუალობა, კვლევის სიახლე და ინოვაციურობა, პრობლემის ფორმულირება;

გ) კვლევის მიზანი/მიზნები და ამოცანები;
დ) კვლევის მეთოდოლოგია;
ე) კვლევის შედეგების სამეცნიერო ღირებულება და/ან კვლევის შედეგების პოტენციური პრაქტიკული გამოყენებადობა;
ვ) ინფორმაცია პლაგიატის/გაყალბებული მონაცემების თაობაზე.
10. რეცენზიის სტრუქტურა უნდა მოიცავდეს შემდეგ პუნქტებს:
ა) ნაშრომის ფორმალური მხარის შეფასება;
ა.ა) ნაშრომის ტექნიკური მონაცემები;
ა.ბ) ნაშრომის კომპოზიცია;
ა.გ) ნაშრომის ენობრივი და სტილისტური ფორმულირება;
ა.დ) დიაგრამები, ტაბულები, მატრიცები;
ა.ე) ციტირების ფორმატი;
ბ) ნაშრომის შინაარსობრივი მხარის შეფასება;
ბ.ა) პრობლემის დასმა;
ბ.ბ) ლიტერატურის შეფასება;
ბ.გ) ნაშრომის ცალკეული შემადგენელი ნაწილების შეფასება;
ბ.დ) კვლევითი ნაწილის შედეგები;
ბ.ე) ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა;
გ) საკითხები, რომლებიც დამატებით განმარტებას მოითხოვენ;
დ) შემაჯამებელი შეფასება.
11. შესაბამისი არგუმენტაციის საფუძველზე რეცენზენტი წარმოადგენს შეფასებას და გასცემს ერთ-ერთ შემდეგ რეკომენდაციას:
ა) დისერტაციის დაცვაზე დაშვების შესახებ;
ბ) დისერტაციის დაცვაზე არდაშვების შესახებ.
12. ერთ-ერთი რეცენზენტის მიერ უარყოფითი დასკვნის წარდგენის შემთხვევაში ინიშნება მესამე რეცენზენტი.
13. ორი რეცენზენტის მიერ სადისერტაციო ნაშრომის უარყოფითად შეფასების შემთხვევაში, ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით დოქტორანტი დაცვაზე არ დაიშვება და მას მიეცემა სადისერტაციო ნაშრომზე დამატებით მუშაობის უფლება, ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ განსაზღვრული სემესტრების განმავლობაში, მაგრამ არა უმეტეს 2 სასწავლო სემესტრისა.
14. სადისერტაციო საბჭოს მიერ გათვალისწინებულ ვადაში დოქტორანტის მიერ სადისერტაციო ნაშრომის წარმოუდგენლობის შემთხვევაში ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს წარდგინების საფუძველზე დოქტორანტს უწყდება დოქტორანტის სტატუსი, კანონმდებლობით დადგენილი წესით.
15. დოქტორანტის მიერ ხელმეორედ წარდგენილი შესწორებული დისერტაცია გადაეცემათ იმავე რეცენზენტებს, ხოლო თუ ეს ობიექტური გარემოებების გამო (უბედური შემთხვევა, ავადმყოფობა და სხვ.), შეუძლებელია, ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო ამტკიცებს ახალ რეცენზენტს.
16. ორი რეცენზენტის მიერ ხელმეორედ წარდგენილი შესწორებული სადისერტაციო ნაშრომის უარყოფითად შეფასების შემთხვევაში, დოქტორანტის ნაშრომი არ მიიღება დასაცავად და ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს წარდგინების საფუძველზე დოქტორანტს უწყდება დოქტორანტის სტატუსი, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

17. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მდივანმა დოქტორანტს წერილობით უნდა აცნობოს რეცენზენტთა დასკვნები.
18. დისერტაციის დაცვაზე დაშვების უარის თქმის შემთხვევაში, უარყოფილი სადისერტაციო ნაშრომის ერთი პირი და რეცენზენტების წერილობითი დასკვნები შესანახად გადაეცემა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს არქივს.

თავი VI. სადისერტაციო ნაშრომის დაცვა

მუხლი 23. დისერტაციის დაცვა

1. დისერტაციის დაცვა არის საჯარო. ინფორმაცია მის შესახებ ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე დისერტაციის დაცვამდე მინიმუმ ერთი კვირით ადრე.
2. დაცვის პროცესი ითვალისწინებს დოქტორანტის მიერ ნაშრომის პრეზენტაციას, სამეცნიერო დისკუსიას და სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნას (შეფასებას).
3. დაცვის რეგლამენტი განისაზღვრება ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებით.

მუხლი 24. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია

1. თითოეული სადისერტაციო ნაშრომის დაცვის მიზნით, ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის წარდგინებით, ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო ამტკიცებს სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიას.
2. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია შედგება შესაბამისი მიმართულების (სფეროს) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პროფესორების და ასოცირებული პროფესორებისაგან. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია უნდა შედგებოდეს არანაკლებ 5 წევრისგან.
3. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრს უნდა ჰქონდეს შესაბამისი პუბლიკაციები დოქტორანტის სადისერტაციო თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო მიმართულებაში (დარგში, სპეციალობაში).
4. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის შემადგენლობაში არანაკლებ ერთი წევრი უნდა იყოს შესაბამისი მიმართულების (დარგის, სპეციალობის) წარმომადგენელი საქართველოდან ან/და უცხოეთიდან, რომელსაც უნივერსიტეტში არ უკავია აკადემიური თანამდებობა.
5. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრები, არაუგვიანეს 30 კალენდარული დღის ვადაში ეცნობიან ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ გადაცემულ სადისერტაციო ნაშრომს.
6. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარესა და მდივანს.

მუხლი 25. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის უფლებამოსილება და მუშაობის წესი

1. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:
ა) ირჩევს კომისიის თავმჯდომარესა და მდივანს;
ბ) შეარჩევს დაცვის თარიღს და წარუდგენს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს;
გ) უზრუნველყოფს სადისერტაციო ნაშრომის დაცვის პროცედურის ჩატარებას;

დ) მოქმედი კანონმდებლობითა და წინამდებარე დებულებით გათვალისწინებული წესით აფასებს სადისერტაციო ნაშრომს.
2. დისერტაციის დაცვის თარიღს განსაზღვრავს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო თავისი გადაწყვეტილებით დაცვის თარიღამდე არანაკლებ 30 კალენდარული დღით ადრე.
3. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მდივანმა დოქტორანტს უნდა აცნობოს სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის შემადგენლობა, დაცვის თარიღი, დრო, ადგილი, დაცვის თარიღამდე არანაკლებ 20 კალენდარული დღით ადრე.
4. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია გადაწყვეტილებას იღებს სხდომაზე. სხდომა უფლებამოსილია გადაწყვეტილება მიიღოს, თუ მას ესწრება წევრთა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტი.
5. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის სხდომის მიმდინარეობა აისახება ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და მდივანი.
6. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის მდივანი უზრუნველყოფს შესაბამისი კომისიის ორგანიზაციულ საქმიანობას:
ა) აწარმოებს სადისერტაციო ნაშრომის დაცვის ოქმს (იხ. დანართი № 7);
ბ) ეხმარება კომისიის თავმჯდომარეს ორგანიზაციული საკითხების მოგვარებაში;
გ) ხელმძღვანელობს კომისიის საქმისწარმოებას;
დ) უზრუნველყოფს დაცვის კომისიის მიერ წარმოებული დოკუმენტაციის მიწოდებას ფაკულტეტისათვის.

მუხლი 26. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის რეგლამენტი

1. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის სხდომაზე სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარე აცხადებს დისერტანტის ვინაობას და დისერტაციის თემას, რეცენზენტების ვინაობას და კომისიას აცნობს დოქტორანტის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებს, დისერტაციის დაცვის პროცედურას და დოქტორანტის მოკლე ბიოგრაფიულ ცნობებს.
2. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის სხდომას უნდა ესწრებოდეს დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი, ასევე რეცენზენტები.
3. იმ შემთხვევაში, თუ სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრება ერთ-ერთი რეცენზენტი, რეცენზია მთლიანად უნდა იქნეს წაკითხული დაცვის მსვლელობისას.
4. იმ შემთხვევაში, თუ სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრება დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი, მან კომისიას უნდა გაუგზავნოს შესაბამის მოხსენებითი ბარათი დოქტორანტის აკადემიური დახასიათებით.
5. იმ შემთხვევაში, თუ დოქტორანტი დოკუმენტურად დასაბუთებული საპატიო მიზეზით ვერ გავიდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის სხდომაზე, ან სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის ქვორუმი არ შედგა, ან დაცვა არ შედგა დოქტორანტისაგან დამოუკიდებელი სხვა მიზეზების გამო, სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის მიერ ინიშნება დამატებითი სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის სხდომა იმავე სემესტრში.
6. დაცვის პროცესი ითვალისწინებს დოქტორანტის მიერ ნაშრომის პრეზენტაციას, სამეცნიერო დისკუსიას და სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნას (შეფასებას).

7. დოქტორანტის მიერ ნაშრომის პრეზენტაცია გულისხმობს დოქტორანტის მოხსენებას – თემის წარმოდგენას. კომისიის თავმჯდომარის წინადადებით დოქტორანტი კომისიას მოახსენებს თავისი ნაშრომის ძირითად დებულებებს და მიღებულ შედეგებს, მკაფიოდ აყალიბებს მეცნიერულ სიახლეს.
8. ნაშრომის პრეზენტაციისას დისერტანტმა უნდა გამოიყენოს თვალსაჩინო მასალა - მაგალითად: სლაიდები, პლაკატები, ვიდეო-კინო გასაშვები ტექნიკა და ა.შ.
9. ნაშრომის პრეზენტაციის შემდეგ იმართება სამეცნიერო დისკუსია. დოქტორანტი უპასუხებს დამწრეთა მიერ დასმულ შეკითხვებს, რის შემდეგაც კომისიის თავმჯდომარე სიტყვას გადასცემს რეცენზეტებს. რეცენზეტები კომისიას გააცნობენ საკუთარ რეცენზიებს. რეცენზენტების დოქტორანტთან პაექრობის შემდეგაც სიტყვა ეძლევა დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელს (თანახელმძღვანელებს) დოქტორანტის დახასიათებისათვის. იმართება დისკუსია, რომელშიც მონაწილეობა შეუძლიათ როგორც კომისიის წევრებს, ისე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენლებს.
10. სამეცნიერო კამათის დასრულების შემდეგ კომისიის თავმჯდომარის წინადადებით დოქტორანტს ეძლევა დასკვნითი სიტყვა.
11. დოქტორანტის დასკვნითი სიტყვის შემდეგ სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია სადისერტაციო ნაშრომის შესაფასებლად გადაწყვეტილებას იღებს კონფიდენციალურად დახურულ სხდომაზე.

მუხლი 27. დისერტაციის შეფასება

1. სადისერტაციო ნაშრომი ფასდება ასქულიანი სისტემით, სადაც შედის რეცენზენტების შეფასება (მაქსიმალური ქულა 40 (თითოეული რეცენზენტი აფასებს 20 ქულის ფარგლებში, მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 10) და სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის შეფასება (მაქსიმალური ქულა 60, მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 31). დაცვის კომისიის წევრების მიერ დისერტაციის შეფასება ხდება კონფიდენციალურად.
2. დისერტაციის საბოლოო შეფასებისათვის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიას გამოყავს ქულათა საშუალო არითმეტიკული, რომელსაც შეუფარდებს შეფასებას შემდეგი სისტემის მიხედვით:
ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი - 91-100 ქულა;
ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება - 81-90 ქულა;
გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება - 71-80 ქულა;
დ) საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს - 61-70 ქულა;
ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს - 51-60 ქულა;
ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო - 41-50 ქულა;
ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს - 40 ქულა და ნაკლები.
3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა”-„ე” ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი.

4. ამ მუხლის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომის ერთი წლის ვადაში წარდგენის უფლება.
5. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ზ” ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.
6. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარე დოქტორანტს კომისიის დასკვნას (შეფასებას) აცნობს ზეპირად.
7. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის დოკუმენტაცია ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაეცემა შეფასებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.
8. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის დოკუმენტაცია ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს სხდომამდე, რომელზედაც დასმული იქნება საკითხი დოქტორანტისათვის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე, ხელმისაწვდომი უნდა იყოს გასაცნობად ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს ყველა წევრისთვის.

მუხლი 28. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება (აპელაცია)

1. თუ დოქტორანტი არ ეთანხმება სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის საბოლოო შეფასებას ან მიიჩნევს, რომ დარღვეულია სადისერტაციო ნაშრომის დაცვის რეგლამენტით გათვალისწინებული პროცედურული ნორმები, მას უფლება აქვს, შეფასების გამოცხადებიდან 5 კალენდარული დღის ვადაში, წერილობით მიმართოს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს და გაასაჩივროს სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის მიერ მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება.
2. დოქტორანტის საჩივარი უნდა იყოს დასაბუთებული. მასში მკაფიოდ უნდა იყოს მითითებული გასაჩივრების საგანი და გამსაჩივრებლის არგუმენტები. ამასთან, გასაჩივრების საგანი შეიძლება იყოს:
ა) სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის საბოლოო შეფასება, რომელიც მოიცავს სადისერტაციო ნაშრომის როგორც წერითი კომპონენტის (ნაშრომის შინაარსობრივი მხარე), ასევე ზეპირი კომპონენტის (ნაშრომის საჯარო პრეზენტაცია და დოქტორანტის სამეცნიერო კამათი) შეფასებას. სადისერტაციო ნაშრომის მხოლოდ ზეპირი კომპონენტის (ნაშრომის საჯარო პრეზენტაცია და დოქტორანტის სამეცნიერო კამათი) შეფასების გასაჩივრება დაუშვებელია;
ბ) სადისერტაციო ნაშრომის დაცვის რეგლამენტით გათვალისწინებული პროცედურული ნორმების დარღვევა.
3. საჭიროების შემთხვევაში, დოქტორანტის დასაბუთებული საჩივრის საფუძველზე, ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის წარდგინებით განსაზღვრავს სააპელაციო კომისიის შემადგენლობას.
4. სააპელაციო კომისია უნდა შედგებოდეს შესაბამისი სფეროს/მიმართულების/დარგის/სპეციალობის დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პროფესორების, ასოცირებული პროფესორებისა და ასისტენტ-პროფესორებისაგან. სააპელაციო კომისია უნდა შედგებოდეს არანაკლებ 5 წევრისაგან.
5. სააპელაციო კომისიის წევრს უნდა ჰქონდეს შესაბამისი პუბლიკაციები დოქტორანტის სადისერტაციო თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო სფეროში/მიმართულებაში/დარგში/სპეციალობაში.

6. სააპელაციო კომისიის შემადგენლობაში არანაკლებ ერთი წევრი უნდა იყოს შესაბამისი სფეროს/მიმართულების/დარგის/სპეციალობის წარმომადგენელი საქართველოდან ან/და უცხოეთიდან, რომელსაც უნივერსიტეტში არ უკავია აკადემიური თანამდებობა.
7. სააპელაციო კომისია თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარესა და მდივანს.
8. სააპელაციო კომისიის წევრები ინდივიდუალურად აფასებენ სადისერტაციო ნაშრომის შინაარსობრივ მხარეს, შესაბამისი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად, სადისერტაციო ნაშრომის მიღებიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში.
9. სადისერტაციო ნაშრომის შინაარსობრივი მხარის საბოლოო შეფასებისათვის სააპელაციო კომისიის მდივანს გამოყავს ქულათა საშუალო არითმეტიკული (მიღებული ქულების ჯამი გაყოფილი კომისიის წევრთა რაოდენობაზე).
10. იმ შემთხვევაში, თუ სააპელაციო კომისიის წევრების მიერ სადისერტაციო ნაშრომის შინაარსობრივი მხარის საბოლოო შეფასება, შეფასების სისტემის მიხედვით, აღემატება სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის შეფასებას, სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით ინიშნება ზეპირი კომპონენტის (ნაშრომის საჯარო პრეზენტაციის და დოქტორანტის სამეცნიერო კამათის) შეფასების თარიღი.
11. სააპელაციო კომისიის წევრები ინდივიდუალურად აფასებენ სადისერტაციო ნაშრომის საჯარო პრეზენტაციას და დოქტორანტის სამეცნიერო კამათში მონაწილეობას, შესაბამისი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად.
12. ნაშრომის საჯარო პრეზენტაციის და დოქტორანტის სამეცნიერო კამათში მონაწილეობის საბოლოო შეფასებისათვის სააპელაციო კომისიის მდივანს გამოყავს ქულათა საშუალო არითმეტიკული (მიღებული ქულების ჯამი გაყოფილი კომისიის წევრთა რაოდენობაზე).
13. სადისერტაციო ნაშრომის საბოლოო შეფასება წარმოადგენს სადისერტაციო ნაშრომის შინაარსობრივი მხარის საბოლოო შეფასებისა და ნაშრომის საჯარო პრეზენტაციის და დოქტორანტის სამეცნიერო კამათში მონაწილეობის საბოლოო შეფასების ჯამს.
14. იმ შემთხვევაში, თუ სააპელაციო კომისიის წევრების მიერ სადისერტაციო ნაშრომის შინაარსობრივი მხარის საბოლოო შეფასება, შეფასების სისტემის მიხედვით, არ აღემატება სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის შეფასებას, ზეპირი კომპონენტის (ნაშრომის საჯარო პრეზენტაციის და დოქტორანტის სამეცნიერო კამათის) განმეორებით შეფასება არ ხდება და დოქტორანტის საბოლოო შეფასება განისაზღვრება სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის საბოლოო შეფასებით.
15. თუ დოქტორანტის საჩივარი შეეხება სადისერტაციო ნაშრომის დაცვის რეგლამენტის პროცედურული ნორმების დარღვევებს, ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო მოისმენს როგორც დოქტორანტის, ასევე სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარის, მდივანის, წევრების არგუმენტებს და საკმარისი საფუძვლების არსებობისას იღებს გადაწყვეტილებას სადისერტაციო ნაშრომის საბოლოო შეფასების ბათილად ცნობისა და სადისერტაციო ნაშრომის დაცვის ახალი კომისიის შექმნის შესახებ.

მუხლი 29. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის დოკუმენტაცია

1. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის დოკუმენტაცია ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაეცემა შეფასებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში და ასევე განთავსდება შესაბამის

ელექტრონულ სივრცეში, PDF ფორმატის სახით. ამასთან, სადისერტაციო ნაშრომის დაცვის დოკუმენტაციას განეკუთვნება:
ა) სადისერტაციო ნაშრომის ერთი ეგზემპლარი;
ბ) დისერტაციის ძირითადი დებულებების ამსახველი მოკლე ვერსია (მაცნე);
გ) დოქტორანტის განაცხადი;
დ) დოქტორანტის მიერ შესრულებული სამუშაოს შემაჯამებელი ანგარიში;
ე) სამეცნიერო ხელმძღვანელის დასკვნა;
ვ) ცნობა სამეცნიერო პუბლიკაციების გამოქვეყნებისათვის წაყენებული მოთხოვნების შესრულების თაობაზე;
ზ) გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ამონაბეჭდი და/ან რედაქტორის (რედკოლეგიის) მიერ გაცემული ცნობა გამოსაქვეყნებლად მიღებული სტატიის შესახებ და ნაშრომის ბეჭდური ვერსია;
თ) რეცენზენტების დასკვნები (რეცენზიები);
ი) სადისერტაციო ნაშრომის დაცვის ოქმი.
2. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის დოკუმენტაცია ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს სხდომამდე, რომელზედაც დასმული იქნება საკითხი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულისათვის დოქტორის აკადემიურ ხარისხს მინიჭების თაობაზე, უნდა ინახებოდეს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მდივანთან და ხელმისაწვდომი უნდა იყოს გასაცნობად ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს ყველა წევრისთვის.

თავი VII. დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება

მუხლი 30. აკადემიური ხარისხის მინიჭება

1. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს დოქტორის აკადემიურ ხარისხს ანიჭებს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო, რომლის დასახელება უნდა განისაზღვროს სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისად.
2. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დადებით გადაწყვეტილებას (შეფასებას) განიხილავს გადაწყვეტილების (შეფასების) მიღებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში.
3. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება კანონიერად ითვლება, თუ საბჭოს ესწრებოდა საბჭოს წევრთა ნახევარი მაინც და აკადემიური ხარისხის მინიჭებას ხმა მისცა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე დამსწრე წევრთაგან ნახევარზე მეტმა. საბჭოს სხდომას უნდა ესწრებოდეს სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის მდივანი.
4. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე დისერტაციის შეფასებისა და დაცვის პროცედურის მიმდინარეობის შესახებ სადისერტაციო საბჭოს წევრებს ინფორმაციას აწვდის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის მდივანი. დოქტორანტისათვის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების გადაწყვეტილების მიღებისას კენჭისყრა უნდა იყოს ღია.
5. დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების პროცედურის ამსახველი ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს სხდომის ოქმი და სადისერტაციო ნაშრომის დაცვის დოკუმენტაცია, ინახება ფაკულტეტზე დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებიდან 3 წლის განმავლობაში და შემდეგ გადაეცემა უნივერსიტეტის არქივს.

მუხლი 31. დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი

1. დოქტორის აკადემიურ ხარისხს ადასტურებს უნივერსიტეტის რექტორისა და ფაკულტეტის დეკანის მიერ ხელმოწერილი და უნივერსიტეტის ბეჭდით დამოწმებული დიპლომი, სტანდარტული დანართითურთ.
2. პირი უფლებამოსილია იწოდებოდეს დოქტორად მისთვის დოქტორის დიპლომის გადაცემის შემდეგ. დიპლომის გაცემამდე დოქტორანტს შეიძლება მიეცეს ცნობა აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

მუხლი 32. დისერტაციის გამოქვეყნება

ფაკულტეტი ვალდებულია, დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შემდეგ, ერთი თვის ვადაში დისერტაციის თითო ბეჭდური ეგზემპლარი და მისი ელექტრონული ვერსია გადასცეს საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკას, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას, ასევე ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკას.

მუხლი 33. დოქტორის აკადემიური ხარისხის ბათილობა

1. აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში, ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება მინიჭებული აკადემიური ხარისხის საფუძვლიანობის შემოწმების თაობაზე.
2. სადისერტაციო ნაშრომში აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის ან სადისერტაციო საქმისწარმოებისას არასწორი მონაცემების წარდგენის შემთხვევაში, ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო უფლებამოსილია ბათილად ცნოს მინიჭებული აკადემიური ხარისხი და გააუქმოს შესაბამისი დიპლომი.

დანართი №1

სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს,

ბატონ ----------

მოქალაქე----------

(სახელი, გვარი)

(პირადი ნომერი)

მისამართი: ----------

ტელ.: ---------- (ბინა, მობილური)

ელ.ფოსტა: ----------

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

სურვილი მაქვს სწავლა გავაგრძელო სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ----------

---------- ფაკულტეტის დოქტორანტურაში ----------

----------საგანმანათლებლო პროგრამაზე.

გთხოვთ, დამიშვათ ინგლისური ენის გამოცდაზე /მიღიაროთ სერტიფიკატი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

განმცხადებელი:

------- ---------- 20--- წელი.

დანართი №2

უცხოენის B2 დონეზეცოდნისგანმარტება „ევროპაში ენობრივი კომპეტენციის შემფასებელთა ასოციაციის“, ALTE–ს (Association of Language Testers inEurope) (www.alte.org) და CEFRL (Common European Framework of Referencefor Languages) (www.languagetesting.com) მიხედვით

ALTEB2 – მესამე დონე (აკადემიურისფერო)

უცხო ენის B2 დონეზე ცოდნის განმარტება „ევროპაში ენობრივი კომპეტენციის შემფასებელთა ასოციაციის“, ALTE–ს (Association of Language Testers in Europe) მიხედვით (www.alte.org) ALTE B2 – მესამე დონე (აკადემიური სფერო). მესამე დონე ითვლება ენის ფლობის საშუალო დონედ. ენის ამ დონეზე მცოდნეს უკვე შეუძლია თავი გაართვას ენის ძირითად სტრუქტურას და გამოიყენოს სხვადასხვა სიტუაციის შესაბამისი კომუნიკაციის სტრატეგიები. იგი ფლობს ფართო ლექსიკას. მოსმენისას და კითხვისას იგი სცილდება ფაქტობრივი ინფორმაციის ცალკეული პუნქტების გაგებას, შეუძლია განასხვავოს ძირითადი და მეორეხარისხოვანი საკითხები, ტექსტის ზოგადი თემა და სპეციფიკური დეტალები. სხვადასხვა ტიპის ტექსტის წერისას მას შეეძლია როგორც არგუმენტის ჩამოყალიბება, ასევე მოვლენების აღწერა და თხრობა. ენის ამ დონეზე მცოდნეს გარკვეულწილად თავისუფლად შეუძლია სხვადასხვა კონტექსტში ენის გამოყენება. მას მეტად აქვს განვითარებული მოქნილობა და უნარი, რათა შეძლოს მოულოდნელ სიტუაციაში რეაგირება და ნაკლებად ეყრდნობა უცვლელენობრივ ერთეულებს და მოკლე ფრაზებს. იგი უკვე კარგად ხვდება, როგორ უნდა დაიცვას თავაზიანობის ის ნორმები, რომლებიც ენობრივად არის განსაზღვრული და როგორ უნდა საუბრობდეს ოფიციალურ სიტუაციაში. B2 დონეზე ენის მცოდნეს უნდა შეეძლოს ენის გამოყენება სამოხელეო, სამდივნო და მენეჯრის პოზიციებზე და ზოგიერთ სფეროში.

B2 -ის მიხედვით ენის გამოყენების თვისებრივი ასპექტები შემდეგია:

დიაპაზონი	აქვს საკმაო ლექსიკური მარაგი, რათა შეძლოს გასაგებად და გაბმულად, რთული სინტაქსური კონსტრუქციებით, წყვეტის (სიტყვების ძებნის) გარეშე გამოხატოს თვალსაზრისი.
სიზუსტე	ავლენს გრამატიკის ცოდნის საკმაოდ მაღალ დონეს, არ უშვებს შეცდომებს, რომლებიც იწვევენ გაუგებრობას და თავადვე ასწორებს საკუთარი შეცდომების დიდ ნაწილს.
გაბმულობა	შეუძლია გაბმულად ისაუბროს საშუალო ტემპით, დასაშვებია მცირე შეფერხება გამოთქმების 'შერჩევისას' და იშვიათად გრძელი პაუზის გამოყენება.
ინტერაქცია	შეუძლია წამოიწყოს დისკუსია, დაიცვას რიგითობა და დაასრულოს საუბარი, როდესაც ჩათვლის საჭიროდ, თუმცა შეიძლება ამ პროცესში დაუშვას შეცდომები. შეუძლია წამოიწყოს და წარმართოს დისკუსია მისთვის ნაცნობ საკითხებზე, ა.შ.

მოსმენა

შემსწავლელს შეუძლია სალიტერატურო ნორმების ფარგლებში მეტყველების (ცოცხალი თუ ჩანაწერი) გაგება მისთვის ნაცნობ ან უცნობ თემებზე პირადი, საზოგადოებრივი, საგანმანათლებლო და პროფესიული სფეროებიდან. მხოლოდ ძლიერ ფონურ ხმაურმა ან არასწორად აგებულმა დისკურსმა ან/და რთულ იდიომატურ ერთეულთა გამოყენებამ შეიძლება იქონიოს გავლენა ნათქვამის გაგებაზე. შემსწავლელს შეუძლია გაიგოს ლექცია მისთვის ნაცნობ თემაზე, ასევე შინაარსობრივად და ენობრივად რთული მოხსენების ძირითადი არსის გაგება, თუკი ამ მოხსენების თემატიკა მისთვის გარკვეულწილად ცნობილია. შემსწავლელს შეუძლია გაიგოს მიმდინარე აქტუალურ მოვლენებზე ტელე/რადიო გადაცემების ძირითადი შინაარსი. შემსწავლელს შეუძლია გაიგოს ჩვეულებრივი ტემპით წარმოთქმული განცხადება აბსტრაქტულ თემებზე.

კითხვა

შემსწავლელს შეუძლია კონკრეტულ და აბსტრაქტულ თემებზე შექმნილი კომპლექსური ტექსტების მთავარი აზრის გაგება; შეუძლია იკითხოს დამოუკიდებლად, შეცვალოს და მიუსადაგოს კითხვის სტილი

და ტემპი ტექსტის ტიპსა და კითხვის მიზანს, სწორად შეარჩიოს და გამოიყენოს შესაბამისი დასამოწმებელი წყაროები. აქვს ფართო და აქტიური ლექსიკური მარაგი, მაგრამ შეიძლება შეექმნას პრობლემა იშვიათად გამოყენებული იდიომების დეკოდირებისას. შეუძლია წაიკითხოს და კარგად აღიქვას საკუთარ ინტერესებთან ან სპეციალობასთან დაკავშირებული კორესპოდენციის ძირითადი აზრი; სწრაფად ამოიცნოს ახალი ამბების შინაარსი და მნიშვნელობა; შეუძლია გაიგოს გრძელი, რთული მითითებების არსი საკუთარი სპეციალობის ფარგლებში, ცალკეულ შემთხვევებში საჭირო ხდება რთული მონაკვეთების განმეორებით გადაკითხვა ან ლექსიკონის დახმარება. შეუძლია მოიძიოს ინფორმაცია, აღიქვას საკუთარი სპეციალობის სპეციფიკური წყაროების ძირითადი აზრი; ლექსიკონზე დაყრდნობით და ტერმინოლოგიის საკუთარი ინტერპრეტაციის დასადასტურებლად შეუძლია გაიგოს სამეცნიერო სტატიების აზრი მეცნიერების სხვა მიმართულებებიდანაც; შეუძლია წაიკითხოს სტატიები და მოხსენებები, რომლებიც გამოხატავენ გარკვეული თანამედროვე პრობლემის შესახებავტორის აზრს.

საუბარი

შემსწავლელს აქვს სპონტანურად და თავისუფლად კონტაქტში შესვლის უნარი, ისე რომ უცხოენოვან მოსაუბრესთან დიდი ძალისხმევის გარეშე ორმხრივად კარგად წარიმართოს საუბარი. შემსწავლელს აქვს ფართო სპექტრის თემებზე გასაგებად და დეტალურად საუბრის, აქტუალურ საკითხზე საკუთარი პოზიციის გამოხატვისა და სხვადასხვა შესაძლებლობების, პრიორიტეტებისა და ნაკლოვანებათა განმარტების უნარი. შემსწავლელმა შესაძლოა წინადადების აგებისას დაუშვას უმნიშვნელო შეცდომები, რომელთა აღმოფხვრა თვითონვე შეუძლია.

წერა

შემსწავლელს შეუძლია დაწეროს წერილი, ესე, რომელშიც გამოკვეთს მოვლენებისადმი პირად დამოკიდებულებას და აღწერს პირად გამოცდილებას. შეუძლია შექმნას გასაგები, დეტალური ინფორმაციის შემცველი, სტრუქტურირებული ტექსტი მისთვის საინტერესო საკითხზე, გადასცეს ინფორმაცია ან დაასაბუთოს საკუთარი დადებითი ან უარყოფითი თვალსაზრისი გარკვეული პრობლემის შესახებ. შემსწავლელს შეუძლია სხვადასხვა წყაროდან მომდინარე ინფორმაციისა და არგუმენტების შეფასება და მათი სინთეზის საშუალებით ტექსტის დაწერა.

B2 დონის შესაბამისი სერტიფიკატების და ქულების ნუსხა

ინგლისური ენა	TOEFL Paper	TOEFL CBT	TOEFL IBT	IELTS	FCE	CERTUS
	513 - 547	183 - 210	65 - 78	5.5 – 6.5	161 -180	72 -88,25

ინგლისური ენის B2 (ALTE/CEFR) დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატები (ვადიანი/უვადო) ათავისუფლებს კანდიდატს შესაბამის ენაში გამოცდიდან. სერტიფიკატის აღიარება და გამოცდიდან გათავისუფლება ხორციელდება უნივერსიტეტის უცხო ენების ცენტრის მიერ.

ინგლისური ენის გამოცდიდან ასევე თავისუფლდებიან კანდიდატები, რომელთაც მაგისტრატურის ან დოქტორანტურის საფეხური გავლილი აქვთ ინგლისურ ენაზე. შესაბამის პროცედურას უზრუნველყოფს და გადაწყვეტილებას იღებს უნივერსიტეტის უცხო ენების ცენტრი.

დანართი №3

სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს,

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის

სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს

ბატონ/ქალბატონ ----------

(სახელი, გვარი)

საქართველოს ისტორიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის

დოქტორანტის ----------

(სახელი, გვარი)

განცხადება

გთხოვთ მიიღოთ ჩემს მიერ შესრულებული სადისერტაციო ნაშრომი „----------
----------“ განსახილველად.

გაცნობებთ, რომ ჩემ მიერ შესრულებული სადისერტაციო ნაშრომი წარმოადგენს დამოუკიდებელი კვლევის შედეგს, ნაშრომში გამოყენებული ყველა წყარო სათანადოდაა მითითებული და იგი არ შეიცავს პლაგიატს/გაყალბებულ მონაცემებს.

დოქტორანტის ხელმოწერა:----------

თარიღი:----------

დანართი №4

შემაჯამებელი ანგარიში

სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის

საქართველოს ისტორიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის

დოქტორანტის ---------- შესრულებული სამუშაოს

შესახებ

ზოგადი ინფორმაცია

დოქტორანტურაში ჩარიცხვის თარიღი და ბრძანება	
სადისერტაციო ნაშრომის სათაური (თემის ცვლილების შესახებ ინფორმაციის მითითებით; ასეთის არსებობის შემთხვევაში)	
დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი (სახელი, გვარი, აკადემიური, სამეცნიერო თანამდებობა)	
სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელი (სახელი, გვარი, აკადემიური/სამეცნიერო თანამდებობა; ხელმძღვანელის ცვლილების შესახებ ინფორმაციის მითითებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში)	
ხელმძღვანელ(ებ)ი (სახელი, გვარი, აკადემიური, სამეცნიერო თანამდებობა) (ასეთის არსებობის შემთხვევაში)	

სასწავლო კომპონენტი

N	სასწავლო კომპონენტის დასახელება	სასწავლო წელი/სემესტრი	კრედიტების რაოდენობა	შეფასება
1	სასწავლო კურსი			
2	პროფესორის ასისტენტობა			
3	სადოქტორო სემინარი			
4	ისტორიის კვლევის მეთოდები			
5	სხვა აქტივობა			

სამეცნიერო კომპონენტი

1. ინფორმაცია სამეცნიერო კომპონენტის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

ა)

N	სამეცნიერო კომპონენტის დასახელება	სასწავლო წელი/სემესტრი
1		
2		
3		

2. ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობა და დოქტორანტის უცხოეთში ვიზიტის შესაბამისობა საკვლევ თემასთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

(აღწერეთ სამეცნიერო კომპონენტის ფარგლებში ადგილობრივი და საერთაშორისო თანამშრომლობა. კვლევის მიზნებისათვის განხორციელებული სამეცნიერო კვლევითი ვიზიტი/სტაჟირება (ასეთის არსებობის შემთხვევაში): მიუთითეთ მიმღები ინსტიტუტის/კვლევითი ცენტრის სახელწოდება და ქვეყანა, მივლინების/სტაჟირების განმავლობაში სამეცნიერო კონსულტანტის სახელი, გვარი, სამეცნიერო ხარისხი და როლი სადისერტაციო ნაშრომის მიზნების მიღწევაში. სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა - 400 სიტყვა).

3. ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში (ფორუმები, კონფერენციები, სემინარები, ვორკშოფები და ა.შ.) მონაწილეობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

N	**სამეცნიერო ფორუმის დასახელება, ჩატარების თარიღი და ადგილი**	**მოხსენების სათაური**	**ელექტრონული მისამართი**
1			
2			

4. სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული გამოქვეყნებული პუბლიკაციები

N	**ავტორ(ებ)ი** (ყველა თანაავტორის მითითებით; დოქტორანტის გვარი გამოიყოს მუქი შრიფტით)	**პუბლიკაციის სახეობა** (მონოგრაფია, სტატია რეცენზირებად, საერთაშორისო, უცხოურ, ადგილობრივ ჟურნალში, საკონფერენციო მასალები (Proceedings) და სხვ.)	**პუბლიკაციის სათაური** (ჟურნალის/ გამომცემლობის დასახელება, ტიპი/ტომი, გვერდები, პუბლიკაციის ელექტრონული მისამართი (არსებობის შემთხვევაში))	**გამოქვეყნების წელი**
1				
2				

სადისერტაციო ნაშრომის აბსტრაქტი

აბსტრაქტს თან უნდა ახლდეს ავტორის გვარი და სახელი, ნაშრომის სათაური (ქართულ და ინგლისურ ენებზე).
აბსტრაქტის ტექსტი არ უნდა აღემატებოდეს 500 სიტყვას.
საკვანძო სიტყვების რაოდენობა: 5 სიტყვა.

1. სადისერტაციო თემის აქტუალობა, კვლევის სიახლე და ინოვაციურობა
(თემის მოკლე მიმოხილვა; დასაბუთება, თუ რატომ არის თემა მნიშვნელოვანი და აქტუალური; კვლევის მეცნიერული სიახლის/ინოვაციური მიდგომების აღწერა.);
2. კვლევის მიზანი/მიზნები და ამოცანები
(აღწერეთ კვლევის მიზნები და ამოცანები; ჩამოთვალეთ და მოკლედ აღწერეთ საბოლოო მიზნის მისაღწევად შესასრულებელი ამოცანები შედეგების მითითებით.);
3. სამეცნიერო ნაშრომის სტრუქტურა და კვლევის მეთოდოლოგია
(კვლევის სტრუქტურის აღწერა; კვლევის მეთოდოლოგიის დასაბუთება და შესაბამისობა თემის მიზანი/მიზნებთან.);
4. კვლევის შედეგების სამეცნიერო ღირებულება და პოტენციური პრაქტიკული მნიშვნელობა
(დაასაბუთეთ, რა გამოწვევების გადაჭრაზეა ორიენტირებული კვლევა, კვლევის შედეგების მნიშვნელობა ქვეყნის, რეგიონის ან მსოფლიოსათვის და პოტენციური გავლენა დარგსა და ფართო საზოგადოებაზე.).

დანართი №5

სამეცნიერო ხელმძღვანელის დასკვნა

სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტის ----------

სადისერტაციო ნაშრომის „----------“ შესახებ

1. სამეცნიერო ხელმძღვანელმა დოქტორანტი უნდა შეაფასოს სწავლის და კვლევის მიღწეული შედეგების - სასწავლო და კვლევითი კომპონენტების, ასევე კვლევის მიზნებისათვის განხორციელებული სამეცნიერო კვლევითი ვიზიტის/სტაჟირების (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში (ფორუმები, კონფერენციები, სემინარები, ვორკშოფები და ა.შ.) მონაწილეობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული გამოქვეყნებული პუბლიკაციების - საფუძველზე (სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა - 400 სიტყვა).
2. დადასტურებული უნდა იყოს სადისერტაციო ნაშრომის მნიშვნელობა და აქტუალობა, კვლევის სიახლე და ინოვაციურობა, კვლევის შედეგების სამეცნიერო ღირებულება და/ან კვლევის შედეგების პოტენციური პრაქტიკული გამოყენებადობა. ინფორმაცია პლაგიატის/გაყალბებული მონაცემების თაობაზე (სიტყვების რეკომენდირებული რაოდენობა- 800 სიტყვა).

სამეცნიერო ხელმძღვანელის ხელმოწერა:

თარიღი:

დანართი №6

რეცენზია

სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტის----------
------ სადისერტაციო ნაშრომის „----------“ შესახებ

რეცენზენტმა სადისერტაციო ნაშრომი უნდა შეაფასოს შედეგი კრიტერიუმებით:

1. სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა;
2. სადისერტაციო ნაშრომის აქტუალობა, კვლევის სიახლე და ინოვაციურობა, პრობლემის ფორმულირება;
3. კვლევის მიზანი/მიზნებიდაამოცანები;
4. კვლევის მეთოდოლოგია;
5. კვლევის შედეგების სამეცნიერო ღირებულება და/ან კვლევის შედეგების პოტენციური პრაქტიკული გამოყენებადობა;
6. ინფორმაცია პლაგიატის/გაყალბებული მონაცემების თაობაზე.

რეცენზიის სტრუქტურა შეიძლება მოიცავდეს შემდეგ პუნქტებს:

1.ნაშრომის ფორმალური მხარის შეფასება

1.1.ნაშრომის ტექნიკური მონაცემები
1.2.ნაშრომის კომპოზიცია
1.3.ნაშრომის ენობრივი და სტილისტური ფორმულირება
1.4.დიაგრამები, ტაბულები, მატრიცები
1.5.ციტირებისფორმატი

2.ნაშრომის შინაარსობრივი მხარის შეფასება

2.1.პრობლემის დასმა
2.2.ლიტერატურის შეფასება
2.3.ნაშრომის ცალკეული შემადგენელი ნაწილების შეფასება
2.4.კვლევის მეთოდოლოგია, კვლევითი ნაწილის შედეგები
2.5.ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა

3.საკითხები, რომლებიც დამატებით განმარტებას მოითხოვენ
4.შემაჯამებელი შეფასება (მაქსიმალური ქულა 20, მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 10)

რეცენზენტი გასცემს რეკომენდაციას დისერტაციის დაცვაზე დაშვების ან არდაშვების შესახებ.

დანართი № 7

სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ---------- ფაკულტეტის

„----------“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტის ----------
---

(სახელი, გვარი)

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის ოქმი № ------

თარიღი, თბილისი

1. სხდომაზე დამსწრე საზოგადოება (სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრების, შემფასებლებისა და სამეცნიერო ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების (გვარი, სახელი; დაწესებულება, აკადემიური/სამეცნიერო თანამდებობა) მითითება).

2. დღის წესრიგის ფორმულირება (---------- ფაკულტეტის „----------“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტის --------- (სახელი, გვარი) სადისერტაციო ნაშრომის (დასახელება) დაცვა);

3. კენჭისყრის ჩატარება სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ (მიუთითეთ მხარდამჭერ წევრთა რაოდენობა).

4. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის გადაწყვეტილება დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ (მიუთითეთ მხარდამჭერ წევრთა რაოდენობა).;

5. ინფორმაცია დოქტორანტის შესახებ (წარადგენს კომისიის მდივანი).

6. დოქტორანტის მიერ სადისერტაციო ნაშრომის წარდგენა (დოქტორანტის სიტყვა ერთვის ოქმს).

7. პირველი რეცენზენტის დასკვნა (რეცენზია) (რეცენზია ერთვის ოქმს);

8. დოქტორანტის პასუხი პირველი რეცენზენტის დასკვნაზე (რეცენზიაზე) (დოქტორანტის პასუხი ერთვის ოქმს; დისკუსია აღიწეროს ოქმში);

9. მეორე რეცენზენტის დასკვნა (რეცენზია) (რეცენზია ერთვის ოქმს);

10. დოქტორანტის პასუხი მეორე რეცენზენტის დასკვნაზე (რეცენზიაზე) (დოქტორანტის პასუხი ერთვის ოქმს; დისკუსია აღიწეროს ოქმში);

11. მესამე რეცენზენტის დასკვნა (რეცენზია) (რეცენზია ერთვის ოქმს);

12. დოქტორანტის პასუხი მესამე შემფასებლის რეცენზენტის დასკვნაზე (რეცენზიაზე) (დოქტორანტის პასუხი ერთვის ოქმს; დისკუსია აღიწეროს ოქმში);

13. სამეცნიერო დისკუსია (სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრების, დამსწრე საზოგადოების წარმომადგენლების და დოქტორანტის კითხვა-პასუხები აისახება ოქმში).

14. სამეცნიერო ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების სიტყვა (ოქმს ერთვის სამეცნიერო ხელმძღვანელის დასკვნა);

15. დოქტორანტის სიტყვა.

16. სადისერტაციო ნაშრომის შეფასების პროცედურა (სადისერტაციო ნაშრომის შეფასება სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის მიერ დახურულ სხდომაზე; დისერტაციის შეფასების საბოლოო გადაწყვეტილების გამოცხადება).

ოქმს ხელმოწერით ადასტურებს - სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარე და სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის მდივანი.